საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №03

ქ. ბათუმი **26 თებერვალი, 2018 წ.**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის N05 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის 2018 წლის 14 თებერვლის (MES 818 00159311) სამსახურებრივი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის N5 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2^1. სხვადასხვა სპორტის ფედერაციის/სპორტის ან კულტურის სააგენტოს ორგანიზებით ჩატარებული ღონისძიების წარმატებული მონაწილე ბსუ-ს სტუდენტების (ფინალისტების ან ნახევარ-ფინალისტების) წახალისების მიზნით

ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტი გამოიცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, სტუდენტების მიერ მიღებული შედეგის შესახებ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სამსახურებრივი ბარათისა და ღონისძიების ორგანიზატორის რეგლამენტის/წესდებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს ოდენობის გათვალისწინებით.“

2. გადაწყვეტილება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს) და მართვის ორგანოებს.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და აისახოს სტუდენტის გზამკვლევში.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**